საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-491

22/04/2021

ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს მიერ წარმოდგენილ „ანაკლიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსების“ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის №ი-100 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 30 მარტს სამინისტროს მომართა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის მოადგილემ ტექნიკურ საკითხებში და ითხოვა 2011 წლის 4 ივლისს გაცემული №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2011 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ანაკლიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსებაზე გაიცა №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2014 წელს, დაბა ანაკლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის ცვლილების გამო, სამინისტროს მიერ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ანაკლიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ გაიცა №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. შესაბამისად, კომპანია ითხოვს 2011 წლის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს მიერ წარმოდგენილ „ანაკლიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსების“ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის №ი-100 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი